მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შაუმიანის ელექტრო გადამცემი ხაზის გაყვანა/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №6

ქ. მარნეული 21.10.2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე –კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი - მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე - ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე – იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შაუმიანის ელექტრო გადამცემი ხაზის გაყვანა/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო განცხადება განთავსდა 11-10-2013 წელს 18:16 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 18.10.2013 წ. 12:00 სთ.

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა: შპს ,,ლიგია 2006“ – 1500 ლარი. საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაცია და დეტალური დოკუმენტური შერჩევისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის კანონით და საკონკურსო დოკუმენტაციით დაწესებული 50 ლარიანი ქვითარი გადახდილია ინტერნეტ/ბანკინგის მეშვეობით, რის გამოც ოპერაციის განმახორციელებელი ბანკის საოპერაციო სისტემის მიერ არ არის სათანადოდ აღქმული კონკურსანტის მიერ გადახდილ ქვითარში ასახული ის მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობითა და საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი ინფორმაცია/მოთხოვნები, რასაც სრულად უნდა შეიცავდეს საკონკურსო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ აქვე საკონკურსო დოკუმენტაცია შეიცავს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ მის ორგანიზაციულ საბანკო/საოპერაციო გადარიცხვების ამსახველ ამონაწერს, რითაც შეიძლება ითამამად ითქვას, რომ კომისიას ეძლევა საშუალება მოახდინოს საკითხის სრულფასოვანი ანალიზი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ საკონკურსო გადარიცხვების სხვადასხვა ეროვნულ ვალუტების ანგარიშებთან მიმართებით შესაბამის შესადარისობაში, მით უმეტეს როდესაც აღნიშნული კონკურსისადმი საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი თვალნათლივ არის გამოსახული საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარზე და ამის დასტურად საბანკო/საოპერაციო ამონაწერსა და ქვითარში მითითებული 50 ლარის გადახდის თარიღიც სრულ შესაბამისობაშია ურთიერთთან. ამდენად, საკონკურსო კომისიამ მიიჩნია, რომ მთლიანობაში საკონკურსო დოკუმენტაცია და წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა:</u>

დაევალოს საკონკურსო აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს გაუგზავნოს შეტყობინება გამარჯვებულ კონკურსანტს და მოიწვიოს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

ნინო დეკანოიძე